”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 61-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია შპს სამაუწყებლო კომპანია ”რუსთავი 2-ის” შესახებ

I

ა) შესაბამისობის დეკლარაცია თანდართულია დანართის სახით (იხ. დეკლარაცია ერთ გვერდად). დეკლარაცია გამოქვეყნებულია შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ ოფიციალურ ვებგვერდზე- www.rustavi2.com

ბ) მაუწყებელი არის ავტორიზებული პირი: 1) სპეციალიზებული ტელემაუწყებლობა, ავტორიზაციის ნომერი: BR-287 („კომედი არხი“); 2) სპეციალიზებული ტელემაუწყებლობა მაუწყებლობის ავტორიზაციის ნომერი BR-288 („მარაო“); 3) საერთო ტელემაუწყებლობა (საერთო) ავტორიზაციის ნომერი BR-289 („რუსთავი 2“)

გ) მაუწყებელი არ ფლობს სხვა მაუწყებელში წილს ან აქციებს;

დ) მაუწყებელი არ ფლობს პერიოდულ ბეჭდვით გამოცემას;

ე) მაუწყებელი არ ფლობს პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაში წილს ან აქციებს;

ვ) მაუწყებელი არ ფლობს საინფორმაციო სააგენტოს;

ზ) მაუწყებელი არ ფლობს საინფორმაციო სააგენტოს წილს ან აქციებს;

თ) მაუწყებელი ფლობს სხვა საწარმოში წილს, კერძოდ, ის არის შპს «უნიმედიას» წილის - 50%-იანი მფლობელი პარტნიორი და არის შპს „მუქსის“ 100%-იანი მფლობელი პარტნიორი.

II

მაუწყებელმა მიწოდა კომისიას ამ 61-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია 2016 წლის 1 თებერვლამდე.

III

მაუწყებელის წილის მფლობელთა მიერ მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელის წილს ფლობის შესახებ ინფორმაცია:

ა) მაუწყებლის წილის მფლობელები არ ფლობენ მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელი

მაუწყებლის წილს

ბ) მაუწყებელის წილის მფლობელები არ ფლობენ პერიოდულ ბეჭდცით გამოცემაში წილს ან აქციებს

გ) მაუწყებელის წილის მფლობელები არ ფლობენ საინფორმაციო სააგენტოში წილს ან აქციებს

IV

მაუწყებლის მიერ შესაბამისობის დეკლარაცია უწყვეტად არის განთავსებული/გამოქვეყნებული ვებგვერდზე - www.rustavi2.com (გრაფაში „ჩვენს შესახებ“)

შპს სამაუწყებლო კომპანია ”რუსთავი 2-ის” გასული წლის საქმიანობის ანგარიში

შპს სამაუწყებლო კომპანია ”რუსთავი 2-ის” გასული წლის საქმიანობა მიმდინარეობდა კომპანიის კონცეფციის შესაბამისად. ტელეკომპანია ახორციელებდა მაუწყებლობას მთელი საქართველოს მასშტაბით და მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებულობას, ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ანალიტიკური, მიმოხილვითი, საბავშვო, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, გასართობ-შემეცნებითი, გასართობი, იუმორისტული, ინტელექტუალური და დოკუმენტური გადაცემების ჩვენებას სატელევიზიო ეთერით. გასულ და მიმდინარე წელს ტელეკომპანიის ეთერში გადის როგორც ძველი, მაყურებლისათვის უკვე კარგად ცნობილი, ისე ახალი გადაცემები, რომელიც დაემატა 2015/2016 წლებში (იხ. დანართი - გადაცემების ანოტაცია)

შპს სამაუწყებლო კომპანია ”რუსთავი 2-ი” უწყვეტად განაგრძობდა „კომედი არხისა“ და „მარაოს“ მაუწყებლობას ამ არხების კონცეფციისა და საკუთარი სარედაქციო დასაბუთებების შესაბამისად. (იხ. დანართი - გადაცემების ანოტაცია).

შპს სამაუწყებლო კომპანია ”რუსთავი 2”-ის მიმდინარე წლის საქმიანობის გეგმისა და დაფინანსების წყაროების შესახებ

დაფინანსების წყაროები:

შპს სამაუწყებლო კომპანია ”რუსთავი 2” არის მოქმედი ორგანიზაცია 1996 წლიდან. კომპანიას გააჩნია საკუთარი სახსრები, რომლითაც ის მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განსახორციელებლად. კომპანიის ძირითადი დაფინანსების წყაროს წარმოადგენს მისი საეთერო დროის გაყიდვა/ რეკლამა.

საქმიანობის გეგმა:

შპს სამაუწყებლო კომპანიის მიმდინარე წლის საქმიანობის გეგმა დასახულია მისი კონცეფციის შესაბამისად. ტელეკომპანია ახორციელებს მაუწყებლობას მთელი საქართველოს მასშტაბით და მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებულობას, საინფორმაციო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ანალიტიკური, მიმოხილვითი, გასართობი, იუმორისტული, მუსიკალური, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, შემეცნებით-გასართობი, საბავშვო, ინტელექტუალური, დოკუმენტური და სხვა ტიპის გადაცემების დამზადებას და ჩვენებას სატელევიზიო ეთერით. აღნიშნული ტიპის გადაცემების მოკლე ანოტაცია მოცემულია დანართში